თა რიგი“ უალტერნატივოდ იხმარებოდა, ბოლო გამოცემაში კი მისი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობის „სიტყვათგანლაგებამ“ დაიკავა, რაც 70-80-იან წლებში გამოქვეყნებული სპეციალური ლიტერატურის ერთგვარ გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. ავტორმა საჭიროდ ჩათვალა აგრეთვე ამ თემასთან დაკავშირებით სტატისტიკურ მონაცემთა (თუნდაც შეზღუდულად) მომარჯვებაც, რაც სავსებით გამართლებულად და წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია. საგანგებო აღნიშვნის ღირსია რთულ წინადადებებსა თუ გაბმულ მეტყველებასთან დაკავშირებით რიგი საკითხის მეტი დამუშავება და დეტალიზაცია, აგრეთვე ნაშრომის გამდიდრება-გამრავალფეროვნება საილუსტრაციო მასალით.

ასეთი დიდი მოცულობის წიგნში კორექტურული შეცდომები მოულოდნელი არ უნდა იყოს, მაგრამ დასანანია, როცა კორექტურული შეცდომა შეინიშნება დამოწმებული მეცნიერის გვარში, ისიც – რამდენჯერმე (იგულისხმება გვარი ***შარაშენიძე*** ნაცვლად ***შარაძენიძისა***).

შეიძლება ითქვას, რომ „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის“ ავტორი მთელი სიცოცხლე მიისწრაფოდა თავისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომის სრულყოფისაკენ. სამწუხაროდ, ბოლო წარმატებული ცდა აღმოჩნდა ავტორის „გედის სიმღერაც“: წიგნის ბოლო გამოცემის გამოქვეყნებიდან სულ ცოტა ხანში მხცოვანი მეცნიერი გარდაიცვალა.

**შუქია აფრიდონიძე**

***ლეილა გეგუჩაძე. ქართული ენა. სინტაქსის საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 404 გვ., 2010.***

ლეილა გეგუჩაძის ნაშრომი „ქართული ენა. სინტაქსის საკითხები“ წარმოადგენს ავტორის 1990-იანი წლებიდან ნაკვეთებით (I-VII) გამომავალი ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსის ერთი, თემატურად გაერთიანებული ნაწილის გადამუშავებულ ვარიანტს. იგი მხოლოდ და მთლიანად ***სინტაქსის*** საკითხებს ეძღვნება.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაშრომი, ისევე როგორც მისი წინამორბედი გამოცემა, არსებითად სასწავლო ხასიათისაა. თავიდან იგი „აბიტურიენტის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოდიოდა, მაგრამ წიგნის პროფესიონალურმა დონემ ის დიდად გამოსადეგი გახადა ბაკალავრიატის დაწყებითი კურსების სტუდენტთათვისაც. განსაკუთრებით ეს ითქმის სარეცენზიო ნაშრომის დამაგვირგვინებელ ნაწილზე, რომელიც *ჰიპოტაქსის* საკითხებს ეძღვნება, და ეს თემატიკა წლების მანძილზე იყო ავტორის კვლევითი ინტერესის საგანი.

ნაშრომი შედგება რამდენიმე ძირითადი თემისაგან, რომლებიც ლოგიკური თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი, დაწყებული უმცი-

რესი ტაქსემებით – სიტყვათა წყვილებით, ანუ *სინტაგმებით* – ვიდრე *ზერთულ წინადადებებამდე*.

*სინტაქსის* არსებითი საკითხი – სიტყვათა შორის გრამატიკული, ანუ *სინტაქსური ურთიერთობები*, მათი რაობა და დეფინიციები სწორედ სინტაგმების ფარგლებშია გაშუქებული. მათგან *შეთანხმება* და *მართვა* განხილულია როგორც სახელთა შორის, ისე სახელსა და ზმნას შორის, როგორც ცალმხრივი, ისე საურთიერთო, უშუალო და შუალობითი. მსჯელობას ერთვის *სინტაგმათა ანალიზის* ნიმუშებიც, რომლებიც თეორიის პრაქტიკულად შემოწმებასთან ერთად გავარჯიშების საშუალებასაც იძლევა.

აქვე წარმოდგენილია ***წინადადებათა*** კვალიფიკაციები *მოდალობისა* და *სტრუქტურის* მიხედვით. განხილულია *მარტივი წინადადების* ტიპები (სრული და უსრული, გავრცობილი და გაუვრცობელი, უქვემდებარო, სახელდებითი...) და წარმოდგენილია ***წინადადების წევრთა*** (*მთავარი* თუ *არამთავარი წევრების*) დეტალური ანალიზი. ყველა ძირითადი სინტაქსური ურთიერთობა ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობისა თუ ზმნასთან შეწყობილ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით არის განხილული. აქ ყურადღებას იქცევს თითოეული წევრის სისტემატური დაკავშირება უშუალო სინტაქსურ მეწყვილესთან, რაც ნაშრომის ამ ნაწილის ერთ-ერთ სპეციფიკურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ამ მონაკვეთშიც წარმოდგენილია სათანადო ტაქსემის ანალიზის ნიმუში, ამჯერად – *მარტივი წინადადებისა*.

მარტივი წინადადების განხილვის ბუნებრივი გაგრძელებაა მსჯელობა ***შერწყმული*** წინადადების შესახებ, რამდენადაც იგი მარტივი წინადადების სახეობაა და სხვაობას არსებითად ქმნის წინადადების ერთ-ერთი წევრის დუბლირება.

*შერწყმული წინადადებების* განხილვისას ძირითადი ყურადღება გამახვილებულია წინადადების ***ერთგვარი წევრების*** განსაზღვრა-ანალიზზე. წარმოდგენილია ყველა შესაძლო ერთგვარი წევრის შემცველი წინადადებები.

აქვეა განხილული *განკერძოებული სიტყვები (განსაზღვრება-გარემოებანი)* და *გამოთქმები* (*დანართი, ჩართული, მიმართვა*...).

ნაშრომის ყველაზე ვრცელი მონაკვეთი, ბუნებრივია, ეძღვნება ***რთული*** შედგენილობის წინადადებათა – დეტალურ განხილვას, თუმცა ***თანწყობის*** საკითხი (*პარატაქსი*) სულ რამდენიმე გვერდზეა განხილული და მისი ანალიზი უშუალოდ მოსდევს შერწყმული წინადადებისას შერწყმისა და თანწყობისას გამოყენებული კავშირების მსგავსების საფუძველზე. სამაგიეროდ, ***ქვეწყობას*** (*ჰიპოტაქსს*) შეუ-

დარებლად დიდი ადგილი უჭირავს. ეს გასაგებიცაა: ნაშრომის ავტორი ჰიპოტაქსურ წინადადებებსა და კონსტრუქციებს სპეციალურად იკვლევდა და მისი კვლევის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ავტორის შემოქმედებითი წვლილიც განსაკუთრებით ხელშესახებია სწორედ ამ მონაკვეთში.

გარდა სხვადასხვა დამოკიდებულწინადადებიანი ქვეწყობილი წინადადებების დაწვრილებითი განხილვისა, წარმოდგენილია *მწკრივთა შესაძლო შეფარდებათა* და *დროთა თანამიმდევრობის* ანალიზი, რომლითაც ლ. გეგუჩაძის დაკვირვებები გამოირჩევა სინტაქსის საკითხებზე არსებულ ნაშრომებს შორის. უფრო ვრცლად კი ამ ნაკლებად გამოკვლეული საკითხის შესახებ მკითხველი შეიძლება გაეცნოს ავტორის მცირე ზომის მონოგრაფიას „მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამოიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში (თბ., 2005). *რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებულით, შერეული* (იგივე *ზერთული*) სახის რთული წინადადება... საჭირო შემთხვევებში ამა თუ იმ ძნელად გასაგები საკითხების ადაპტირების მიზნით ავტორი ზომიერად ურთავს სქემებს, რომლებიც უადვილებენ მკითხველს დაქვემდებარების მექანიზმებში (თანადაქვემდებარება, თანამიმდევრული დაქვემდებარება) გარკვევას.

განხილულია აგრეთვე ცალკეული პოლისემიური კავშირების (***რომ*** და ***თუ***) ფუნქციები სხვადასხვა სახის რთულ ჰიპოტაქსურ წინადადებებში და ა.შ.

დასასრულ, ავტორი ეხება საჭოჭმანო საკითხებს პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მართებულ ხმარებასთან დაკავშირებით და თავს უყრის თითოეული გაანალიზებული ტიპისა თუ სახის წინადადებებში სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითად წესებს.

ლ. გეგუჩაძის ამ ნაშრომის წინამორბედმა, ჯერ კიდევ ნაკვეთების სახით გამომავალმა წიგნაკებმა წლების მანძილზე უკვე კარგი სამსახური გაუწია მოსწავლე ახალგაზრდობის, მათ შორის სტუდენტ-ბაკალავრთა რამდენიმე გამოშვებას. ერთგვარი „რიდერების“ სტილით შესრულებული ეს კურსი ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსთა ძირითად ნაშრომებზე დაყრდნობით არის შედგენილი და, ამავე დროს, საკუთარი კვლევის შედეგებით გამდიდრებული და უხვად ილუსტრირებული თვით ავტორის მიერ მოპოვებული საკუთარი ნიმუშებით.

ეჭვი არ არის, ამ ნაშრომის გამოქვეყნება ცალკე წიგნად დიდ სარგებლობას მოუტანს ფართო მკითხველს.

**შუქია აფრიდონიძე**